№ 2634
შაბათი,
9 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2634
შაბათი,
9 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 373.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვიმონ გივისძე, ნინა ნიკოლოზის ასული, პეტრე, გიორგი სვიმონის ძენი გვერდწითლები, ქუმასე გიორგის ძე მალრაძე, თავადნი კონსტანტინე, თომა, პავლე, ანნა, და ნინო თომას ძენი და ასულნი ციციშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა გარდაცვალებულის პირველის შვილის, მეორეთა დის, მესამეს ცოლის დის და უკანასკნელთა დედის

კნეინა თამარა სვიმონის ასული ციციშვილისა

აგრეთვე განსვენება და დაკრძალვა თავ. თომა კონსტანტინეს ძის ციციშვილისა მოხდება სოფელ ხვისში წმ. ნიკოლოზის საკუთარ ეკკლესიაში, კვირას, 10 ოქტომბერს დილის 10 საათზე. (2—342—2)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმათათვის
თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.
წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.
რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი
ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.
(9—12)
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

ხაზინის თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
შაბათს, 9 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „პიკოვაია დამა“ ოპერა 3 მოქ., მუს. ჩაიკოვსკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ვიშემსკისა, დონსკაია-ეიხენვალდი, მიხაილოვა, შიხუცკაია, მინჩენკო, ხარიტონოვა და ფერარი. ბ-ნნი: დონსკოი, კომაროვი, დემიანენკო, სპერანსკი, ბაგროვი, ზალიპსკი და მურატოვი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე
გამგე ი. ა. კელლერი.
კვირას, 10 ოქტ. „ევგენი ონეგინი“.
ორშაბათს, 11 ოქტომბერს, ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მერვე კლასის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება „დუბროვსკი“.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:
ა. ი. ბაღდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ი. მუღენი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
კამოევი.—საშარდეს ქირურგია და ვე[illegible]ი ყოველდღე. 12—1 საათ.
კიმონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
ე. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ქალი ი. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible]ოთ, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. ზიღიძე.—შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათ.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებო და ბავშვებისა და (ეხლად მშობიარე ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბრ. მ. ხოზოლქაძე.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოშოლიძე.—ქირურგია და ორტოპედია. ხუთშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დაროგებისა 50 კაპ., საავადმყოფოთვის აქვს ორი საწოლი სამკურნალოში დაწვენილები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის წინიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, №. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. [illegible]ლდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—10)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—5—20)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—29)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩ., № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—19)

დ. ყვირილაში
14 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე, თეატრის დარბაზში დანიშნულია ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც უნდა აირჩეს ექვსი რჩევის წევრი: სამი გამგეობისა, სამი სარევიზიო კომისიისა და მათი ნაცვლები. დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა. (3—5.—3)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე
ნ. ზ. ელიავა
გადავიდა:
ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 35. (3—6—3)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

სანერგე
ღამყნილი ამერიკული ვაზისა დაიბეჭდა ახალი პრეისკურანტები სანერგისა და მსურველს შეუძლიან გაიწეროს. ადრესი: Квирилы, Георгію Чивадзе. (10—3822—5)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
7 ოქტომბერი

ტოკიო, 6 ოქტომბერი („რეიტერი“). იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა, მიაქციოს რუსის მთავრობის ყურადღება იმ უკანონობას, რომელსაც რუსეთი სჩადის თავის სალდათების ჩინურ ტანისამოსით შემოსვით. ეს ნოტა ამერიკის საელჩოს ხელით გადაეცემა რუსეთის მთავრობას პეტერბურგში. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ შეადგინა მემორანდუმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ 22 სექტემბერს რუსის ქვეითა ჯარის რაზმი, ჩინურ ტანისამოსში გამოწყობილი, თავს დაეცა იაპონელებს მუკდენისკენ მიმავალ გზაზე. რუსის ჯარის სხვა რაზმები, ამ გვარსავე ტანისამოსში გამოწყობილნი, ასევე უახლოვდებოდნენ იაპონელებს, რომ მოულოდნელად თავს დასცემოდნენ. როგორც მოხსენებიდანა სჩანს, რუსები დიდძალ ჩინურ ტანისამოს ყიდულობენ. მემორანდუმი უმატებს, თუ ერთ-ერთ მოწინაამდეგეს ერთხელვე მითვისებული ფორმა არ აცვია, იგი დაისჯება, როგორც ომის წესის დამრღვევი, დამატებით წესების მე-23 მუხლის და ჩვეულებათა ძალითაო. დასასრულ მემორანდუმში ნათქვამია, რომ რუსების ამგვარი საქციელი ძალიან საშიშოა მშვიდობიან ჩინელთათვის, რადგან შორიდან ძნელი გასარჩევია ჩინელი რუსის სალდათისაგანაო.

პარლამენტის კრება დანიშნულია 15 ნოემბრისათვის.—ხელი მოაწერეს პირობას კორეიაში საფინანსო მრჩევლად მეგატის დანიშვნის შესახებ. მეგატს კონტროლისა და ინიციატივის უფლება ეძლევა. ყოველივე საფინანსო საქმე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმის ნებართვით.

ჩიფუ, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). პორტ-არტურის იაპონელთა ჯარიდან მოსული იაპონელი ვაჭრები ამბობენ, აფიცრების სიტყვით, პორტ-არტური ერთი თვის შემდეგ იქნება აღებულიო. დალნიდან პორტ-არტურში განაგრძობენ საალყო ზარბაზნების გზავნას. დიდძალი ჯარი ვაგზავნა გენზანისკენ. ბევრი ტრანსპორტი, დალნში გაგზავნილი, გენზანისკენ გაისტუმრეს.—იაპონელთა გემს, პურით დატვირთულს, უბედურება შეემთხვა მიაოდაოს კუნძულებთან.

პეტერბურგი, 6 ოქტომბერი („რიტცაუ“). ეს არის ეხლა დიდ ბელტში მივიდა რუსის დიდი სამხედრო გემი და 8 თუ 9 ნაღმიანი გემი.

შანხაი („რეიტერი“). დასავლეთ კვანტუნში ყაჩაღთა ბრბოები სდგება ამბოხების მოსახდენად კვანტუნის პროვინციაში.

პეტერბურგი. „ასოც. პრეს“-ის პეტერბურგის განყოფილება აცხადებს, ჩვენ მონდობილი გვაქვს უარვყოთ ის ცნობა, ვითომ შეერთებულ შტატების მთავრობას აზრადა ჰქონდა წინადადება მიეცა მებრძოლთათვის, რომ მათ შორის ზავის ჩამოსაგდებად შუამავლობა გაეწია. ვაშინგტონის მთავრობას ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია.

ტოკიო („რეიტერი“). როგორც კერძო წყაროებიდანა სჩანს, იაპონიის მარცხენა არმიას დაუკარგავს 5 ათასი კაცი. რუსებს მოუვიდათ მაშველი ჯარი, 13 ათას კაცამდე. მარცხენა არმიის პირდაპირ სულ 6 დივიზია სდგას. დიდი წვიმები ხელს უშლის ჯარის წინსვლას.

ბერლინი. იმ ამბის გამო, რომ რუსები ჩინურ ტანისამოსს ატარებენო, „კელნიშე ცაიტუნგი“ აღნიშნავს: რუსის გაზეთების სიტყვით, რუსის ბევრი სალდათი ცივ ღამეების გამო ჩინურ კურმებს იცვამენო. თბილი ტანისამოსი ხარბინში დარჩა. თავის დროზე ვერ ჩაიტანეს ტანისამოსი, რადგან უამინდობისა გამო გზები ფუჭდებოდა.

სკაგენი. 7 ოქტომბერს დილით ლალბეკის ბუხტაში მივიდა ბალტიის ესკადრის 8 გემი. 8 საათზე კუნძულ სისრჰოლმისთან გაიარა 8 გემმა კიდევ. ყველანი გაჩერდნენ ბუხტაში, სადაც 4 ნავთის მზიდავია.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
7 ოქტომბერი

ჩიფუ. დალნიდან მოსულმა იაპონელმა სთქვა, იაპონელებმა პორტ-არტურთან 40 ათას კაცამდე დაჰკარგესო. საზოგადოდ, იაპონელის სიტყვით, ამ ომში ბევრი ხალხი სწყდება.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა. იანტაისთან „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: „როგორც ეხლა კერძო დეპეშებიდანა და იაპონელების ცნობებიდან გამოირკვა, 29 სექტემბერს რუსის მარჯვენა ფრთეს (გენ. ბილდერლინგის კორპუსს) ორი მარცხი მოჰსვლია. 29 სექტემბერს ღამით იაპონელებმა პოლკოვნიკ სტახოვიჩის რაზმს ცულუნტანიდან 10 ვერსტის მანძილზე ჩრდილოეთისაკენ, მდ. შახეს გაღმა, კუანლინპუსაკენ დაახევინეს (კუანლინპუ 18 ვერსტის მანძილზეა მდინარე ხუნხეს ხიდიდან) და დიდი ზარალიც მისცეს გენ. ბილდერლინგის კორპუსსაც მარცხი მოუვიდა, თუმცა იქ, როგორც ნემიროვიჩ-დანჩენკო იუწყებოდა, რუსებს 9 ბატარეია, ანუ 72 ზარბაზანი ედგათ. გენ. ოკუმ რუსის ორ პოლკს უკან დაახევინა, ჯერ 16 ზარბაზანი ჩაიგდო ხელში და მერე 4 უფრო დიდი ზარბაზანიც წაართვა რუსებს. ღამით, როგორც გენ. კუროპატკინის მოხსენებიდანა სჩანს, იაპონელებმა კიდევ სხვა ზარბაზნებიც წაართვეს რუსებს მარჯვენა ფრთეზე. ამას გარდა, ოკუს მარჯვენა რაზმმა 5 სხვა ზარბაზანი და 5 ყუმბარის ყუთი ჩაიგდო ხელში. 29 სექტემბერს რუსის არმიის შუა ჯარს, გენ. ზარუბაევს კორპუსსაც, დიდი ზარალი მოუვიდა. გენ. ნოძუმ მდ. შახესაკენ დაახევინა ზარუბაევის კორპუსს და ფეხ-და-ფეხ დაედევნა. მარშალი ოიამა იუწყებოდა, გენ. ნოძუმ 29 სექტემბერს 150 რუსი დაატყვევა და 8 ზარბაზანი და 19 ყუმბარის ყუთი ჩაიგდო ხელშიო. თუ ეს ცნობა სწორეა, სჩანს, რუსის შუა ჯარსაც ისეთივე მარცხი მოჰსვლია, როგორიც მარჯვენა ფრთეს მოუვიდა. „რუსსკოიე სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყებოდა, მარჯვენა ფრთეს მაშველი ჯარი გვიან მოუვიდა და ამიტომ დაიხია უკანაო, იაპონელებმა მაშველ ჯარსაც სეტყვასავით დააყარეს ყუმბარა და უკან დაახევინეს. ნამესტნიკ ალექსეევის შტაბის უფროსი გენ. ჟილინსკი თითონ მოვიდა ბრძოლის ველზე, მაგრამ ამ დროს რუსის ჯარი გამალებული მიდიოდა უკანაო. 30 სექტემბერს რუსის დასავლეთის რაზმი (მარჯვენა ფრთე) მხოლოდ იგერიებდა იაპონელებს. ეტყობა, 30 სექტემბერს მარტო გენ. ბილდერლინგის არტილერია ებრძოდა გენ. ოკუს არტილერიას. რკინის გზის ახლო რუსის ჯარმა კიდევ უკან დაიხია და იაპონელებმა სადგური შახე დაიჭირეს. გენ. ბილდერლინგის მარცხენა ფრთეზე რუსებმა საღამოს 6 საათზე სოფ. სილიუხეძი (რკინის გზის აღმოსავლეთით, მდ. შილიხეზე) მიატოვეს და უკან დაიხიეს. ეს პოზიცია რუსის დასავლეთის რაზმს აღმოსავლეთის რაზმთან აერთებდა და გენ. მიშჩენკოს რაზმს ეჭირა. რაკი დასავლეთის რაზმის უმთავრესი ჯარი მდ. შახეს გაღმა გავიდა, იმის მარცხენა ფრთესაც უკან დაახევინეს და უმთავრეს ჯარს დაუახლოვეს. ასე რომ 1 ოქტომბერს გენ. ბილდერლინგის რაზმი მდ. შახეზე დადგა პოზიციებზე. იაპონელებიც იმის პირდაპირ დადგნენ. რუსის აღმოსავლეთის რაზმმაც უკან დაიხია; ერთი რიგი ჯარი მუკდენისაკენ გაემართებოდა, მეორე ფუშუნისაკენ. ასე მიდიოდა საქმე 1 ოქტომბრამდე.“

„რუსსკოიე სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ-ნი ლოდიჟენსკი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: აღმოსავლეთის რაზმს მეტად მძიმე და რთული საქმე ჰქონდა მინდობილი,—გენ. კუროკის არმიისათვის გვერდიდან უნდა მოევლო და ზურგიდან მოჰქცეოდა. რაზმს გზაში ბევრი საშინელი დაბრკოლება აღმოუჩნდა. საშინელის წვალებით იღებდა მაღალ გორებს, მაგრამ ზარბაზნების ატანას ვეღარ ახერხებდა, იაპონელებს-კი წინადვე ეტანათ და მარჯვე ადგილებში დაედგათ სამთო ზარბაზნები; რამწამს რუსები გორებზე ავიდოდნენ, იაპონელები მაშინვე ზარბაზნებს უშენდნენ და მუსრს ავლებდნენ. არც თუ ადგილის მდებარეობა და ამბავი იცოდნენ რუსებმა. 1 ოქტომბერს ყველგან, საცა რუსის ჯარი იდგა, საშინელი წვიმა მოვიდა, უიმისოდაც უვარგისი გზები უფრო წაახდინა და წალეკა და საქმე უფრო გაუჭირა რუსის ჯარს. უნდა ვსთქვათ, რომ რუსის ჯარის გალაშქრება მარცხით გათავდა, ვერც იაპონელების მარჯვენა ფრთეს (გენ. კუროკის) შემოვუარეთ გვერდიდან, ზარალიც მეტად დიდი მოგვივიდა. ჩემის აზრით, გინდა ამას იქით უკეთესადაც წავიდეს ჩვენი (რუსების) საქმე, ახლო ხანში მაინც ისე ვერ გავიმარჯვებთ, რომ ამ გამარჯვებამ ომის საქმე გადასწყვიტოს. ამბობდნენ, იაპონელები „სულით დეცნენო“, მაგრამ ეს სულ იმ ვაჟბატონების მოგონილი იყო, ვინც ბრძოლის მაგივრად მუკდენის ბუფეტში ირევიან. ეჭვი არა მაქვს, იაპონელები თავიანთ პოზიციების ყოველ ნაბიჯს მედგრად დაიცავენ და სანამ რუსები ჯარის სიმრავლით არ გაჰსრესენ, უიმისოდ ისე არას დროს არ გაგვამარჯვებინებენ, რომ მრავალ ტანჯულ პორტ-არტურს მივეშველნეთ. ჩვენ თვალ წინ მთელი პოლკები დაილია, დიდ-ძალი აფიცერი გასწყდა და დაიჭრა; აქედან სჩანს, რომ რუსის ჯარი მამაცად იბრძვის, მაგრამ რა ჰქნას, მეტად დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი... სადგურ მუკდენზე, სულ მცირე, ოფიციალურის ანგარიშით, 23 ათასი დაჭრილი გამოატარეს; მაგრამ ამას გარდა, მეორე გზითაც მიჰყავთ პირ-და-პირ ტელინისაკენ“.

„რუს“-ის კორესპონდენტი სწერს: 30 სექტემბერს რუსის ჯარმა იერიში მიიტანა სოფ. ენდონჩიულუზე და ერთ უსახელო სიმაღლეზე, რკინის გზის აღმოსავლეთით, უნდოდა უკან დაებრუნებინა, მაგრამ ვერას გახდა. თუმცა რუსის ჯარი მეტად მამაცად იბრძოდა, მაგრამ იაპონელებმა საშინლად დაუშინეს ზარბაზანი და თოფი რუსებს და ახლოც არ მიუშვეს სანგრებთან. ზოგიერთ როტაში 12—15 კაცი-ღა დარჩა; აფიცრები სულ დახოცეს და დასჭრეს: როტებს უნტერ-აფიცრები და უბრალო სალდათები უფროსობდნენ. დიდი საცოდაობა იყო. ერთი აფიცერი ერთის მუჭა ჯარით-ღა დაბრუნდა ბრძოლიდან. სალდათები თითქმის სულ დაჭრილები იყვნენ. გენერალი გაუწყრა აფიცერს: „როგორ გაჰბედეთ, პოლკს თავი რად დაანებეთ! ეხლავე დაბრუნდით! სად არის თქვენი პოლკი?“—„ესაა პოლკი, თქვენო აღმატებულებავ“, მიუგო აფიცერმა. „როგორ, ესღა დარჩა?“—ჰკითხა თავზარდაცემულმა გენერალმა და სალდათების ერთიბეწო ჯგუფს შეჰხედა.—„დიახ, ესაა სულ ჩვენი პოლკი“, უპასუხა აფიცერმა, თან სახეზე წურწურით სისხლი ჩამოსდიოდა. თავში იყო დაჭრილი. გენერალი გაჩუმდა... რუსის არტილერიას მუდამ ვაქებდი, ეხლა იაპონელების არტილერიაც უნდა ვაქო: იაპონელების არტილერია ამ ბრძოლის დროს შეუდარებლად მოქმედებდა, ქება და დიდება ალორა სჭირია. რუსის ჯარი რომ იერიშით მიდიოდა, იაპონელები სწორედ ორითოდე წამში სულ მუსრს ავლებდნენ და ნამდვილად ჰსპობდნენ იერიშით მიმავალ პოლკებს.

ტამბოვის პოლკს 26 სექტემბერს ყველა შტაბ-აფიცერი და ობერ-აფიცრების უმეტესობა მოუკლეს და დაუჭრეს. („რ.“).

„რეიტერის სააგენტოს“ პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: იანტაისთან ბრძოლის დროს აღმოსავლეთ ციმბირის მე-6 დივიზიის უფროსი გენ. დანილოვი დასჭრეს ფეხშიო. გენ. დანილოვი ეხლახან დანიშნეს ამ თანამდებობაზე. წინად მე-9 დივიზიის უფროსად გენ. რომანოვი იყო. იანზელინთან ბრძოლის დროს რომანოვი ცხენიდან გადმოვარდა, დაშავდა და რუსეთში წამოვიდა მოსარჩენად. („ნ. დ.“).

ხმა დადის, 29 სექტემბერს რუსის მარცხენა ფრთემაც (კუროკის წინააღმდეგ რომ იბრძოდა) 8 ზარბაზანი დასტოვა ბრძოლის ველზეო. („ნ. დ.“).

ერთი გამოჩენილი გერმანელი აფიცერი სწერს „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ში: რუსის არმია სულ 10—20 ვერსტის მანძილზე დგას განიერ მდინარე ხუნხედან სამხრეთით და მეტად დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი. რუსის ჯარმა ან უსათუოდ უნდა გაიმარჯვოს, ან დამარცხდეს. მართალია აგვისტოში რუსის ჯარმა ლიაოიანიდან უკან დახევა მოახერხა, მაგრამ იქ მდინარე ტაიძიხემ შეაყენა იაპონელების უმთავრესი ჯარი. ამას გარდა იქ იაპონელები 12 დღის ბრძოლით ძლიერ იყვნენ მოქანცულები. ეხლა სულ სხვაა; მუკდენის სამხრეთით იაპონელებს ვერც დიდი მდინარე შეუშლით ხელსა, ჯარიც შესვენებული ჰყავთ. ეჭვი არაა, მუკდენის სამხრეთით ახლა პორტ-არტურის ბედიც სწყდება და წლევანდელ ომის საქმეც. სამხედრო ბედის სასწორი როგორღაც საეჭვოდ ირყევა და გამარჯვება, მგონია, რუსეთის მხარეს არ გადადის. („ნ“).

„დეილი მეილ“-ი ჰფიქრობს: იქნება გენ. კუროპატკინმა სხვის ბძანებითა და რჩევით გაილაშქრა სამხრეთისაკენაო. გალაშქრების წინ გენ. კუროპატკინი ნამესტნიკს ალექსეევს ეთათბირა, ისე როგორც წარსულ მაისში გენ. შტაკელბერგის გალაშქრების წინაც ეთათბირაო. როგორც ვიცით, გენ. შტაკელბერგის გალაშქრება ვაფანგოუს ბრძოლით დასრულდაო.

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელი კორესპონდენტი გასტონ დრუ იუწყება: მცოდნე კაცები პეტერბურგში ირწმუნებიან, გენ. კუროპატკინმა თითონ გადასწყვიტა და თავის ნებით ითავა გალაშქრებაო. რაკი

ეროვნული

სექტემბრის გასულს ახალი ჯარი მიუვიდა და იაპონელებიც მძიმედ იქცეოდნენ, გენ. კუროპატკინმა იფიქრა, ეს მარჯვე დროა იერიშის მისატანადაო, და სამხრეთისაკენ გაილაშქრა. („ნ.“).

ახალი ამბავი

✦ ოფიციალურის ცნობებით, 5 და 6 ოქტომბერს **ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა** 7 კაცი, გადაცვლილა 9, აქედან რამდენიმე კაცი წინანდელი ავადმყოფია.

✦ **მანჯურიიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ**: „მანჯურიის საზღვრიდან კავკასიელნი გულითად სალამს ვუძღვნით ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს. მუხრანსკი, გაბაშვილი, საგინაშვილი, გულაბაშვილი, ნაცვლიშვილი“.

✦ „კავკ.“-ში შემდეგი დეპეშაა დაბეჭდილი, სოფელ სინტინძიდან გამოგზავნილი: „3 ოქტომბრის **ბრძოლის დროს** ციმბირის მეოთხე კორპუსის პოზიციაზე მოვიდა იმერელი ვლადიმერ ბიჭიას ძე თავართქილაძე და თან მოიტანა რამდენიმე ურემი, საჩუქრებით დატვირთული. ეს საჩუქრები თავართქილაძემ მოუტანა კორპუსის ჯარის-კაცებს, საჩუქრები დანიშნულებისამებრ დარიგდა პოზიციაზე. ციმბირის მეოთხე კორპუსის მხრივ გულწრფელ მადლობას ვუძღვნი თავართქილაძეს. მეოთხე კორპუსის უფროსი გენერალი ზარუბაევი.“

✦ როგორც აღნიშნული გვქონდა, 11 ოქტომბრისთვის დანიშნულია ტფილისის ქალაქის საბჭოში **არჩევანი ქალაქის მოურავისა**. როგორც გავიგეთ, ზოგიერთ **ხმოსნებს** გადაუწყვეტიათ, წინადადება შეიტანონ, რომ მოურავის არჩევანი გადაიდოს კიდევ რამდენისამე ხნით.

✦ თავის დროზე უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ **ტფილისი წელს სხვა-და-სხვა წყაროებიდან** შემოსავალს მოელის **1,694,610 მანეთსაო**. გადასახადები ისე სუსტად იკრიბება, რომ დღემდე ცოტა შემოსულა ქალაქის კასაში. პირველ იანვრიდან ოქტომბრამდე სულ შესულა—864,690 მან. 24 კაპ. სამი თვის განმავლობაში უნდა შეიკრიბოს კიდევ 708,338 მან, 86 კაპ.

✦ ამას წინად ტფილისელმა **ქართველმა ებრაელებმა** შუამდგომლობა აღძრეს თორის შეკეთების შესახებ. ეს თორა მე-5 ნაწილშია, არღუთინსკის ქუჩაზე, და აგებულია ამ ასის წლის წინად. იმის შესაკეთებლად ქართველმა ებრაელებმა შეაგროვეს 25 ათასი მანეთი. როგორც ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

✦ ბათუმში, ქალაქის საავადმყოფოსთან, განუზრახავთ **საბებიო კურსების დაარსება**. შუამდგომლობა ამის შესახებ უკვე აღუძრავთ.

✦ **„კავკასიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“** თავმჯდომარედ, გადაცვალებულ ლავროვის ნაცვლად, არჩეულ იქნა თავმჯდომარის ამხანაგი მ. დ. ელჩუკოვი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად—გამგეობის წევრი ე. ს. თაყაიშვილი.

✦ **შავის ზღვის პირად** ხშირად ურიგებდნენ ადგილებს სამსახურს გარეშე მყოფ მოხელეებსა და აფიცრებს. ეხლა მინისტრთა კომიტეტს დაუდგენია, მიწა შავი ზღვის პირად აღარ მისცენ ასეთ მოხელეებს.

✦ დღეს, 9 ოქტომბერს, **სახალხო თეატრში, ავჭალის**, ქუჩაზე გაიმართება წარმოდგენა და კონცერტი. წარმოადგენენ „არიზელ ბიჭს“.

✦ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ორის წლითა და ნახევრით თავის ხარჯით **საზღვარ გარედ** გაუგზავნია კონსტანტინე ბერეკაშვილი, რომელმაც კურსი დაასრულა ნიკიტის სასწავლებელში და ამავე სასწავლებელმა წარუდგინა მიწათ-მოქმედების სამინისტროს როგორც ღირსი მოწაფე. ბერეკაშვილმა საზღვარ გარედ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ღვინის ხელობა.

✦ როგორც ახალციხიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ **გაუტეხიათ სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესია** და წაუღიათ ძვირფასი ნივთები და ფული.

✦ კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა დაადგინა დაავალოს თავის წევრ-საქმის მწარმოებელს ა. ს. ფირალოვს, შეიმუშაოს და მოაწყოს **მოძრავი სამღებრო**. ამ სამღებროს ერთი ადგილიდან მეორეში გადაიტანენ და შეასწავლიან ხალხს ქსოვილების ღებვას.

✦ **ფუნიკულერის გამყვან** საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ნოემბრის დამლევამდე ყველა სამუშაოს გაათავებს და ვაგონების მიმოსვლასაც მოაწყობს.

✦ **მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების** თავმჯდომარე გრაფინია უვაროვისა ქუთაისის გუბერნიაშიაც წავა სიძველეთა გამოსაკვლევად.

✦ ახალციხის სამაზრო სასანიტარო კომისიის თავმჯდომარემ ტფილისის გუბერნატორს წარმოუდგინა პროექტი სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა როგორც ახალციხისა, ისე მთელი ამ მაზრისათვის.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭოს ის კომისია, რომელსაც მიენდო განხილვა ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების შუამდგომლობისა სატივოზე ადგილის დათმობის შესახებ, დღეს დაათვალიერებს ამ ადგილს და შემდეგ შეიმუშავებს მოხსენებას.

✦ დღეს, 9 ოქტომბერს, დანიშნულია სხდომა ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ქალაქის სკოლების საკუთარ შენობათა გეგმები ტეხნიკოს—ხმოსნებთან ერთად.

✦ მოსკოველმა ინჟინერმა გალენიჩმა აცნობა ქალაქის მოურავის მოადგილეს, რომ მუხრანის ხიდის გეგმას მე შევადგენ 2000 მანეთად და ხიდის გაკეთება ამ გეგმით ეღირება 300,000 მანეთადაო. ამასთან ინჟინერი აცხადებს, თუ ქალაქის გამგეობა მოისურვებს, მე ავიღებ იჯარით ხიდის გაკეთებასაო.

✦ როგორც სასანიტარო სამკურნალო საბჭოს ცნობებიდანა სჩანს, ტფილისში თანდათან ძლიერდება გადამდები სენი. 27 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე ქალაქში ავად გახდა გადამდებ სენით 31 კაცი, აქედან 8 მუცელათი, 1 ყვავილით, 17 ხურვებით, 1 წითელი ქარით და სხვა. ქალაქის გადამდებ სენით სამკურნალოში ამ ხნის განმავლობაში იყო 12 კაცი.

✦ სად. აღტაგლა. 4 ოქტომბერს რელსების გადატანის დროს დაშავდა რკინის გზის მუშა ზაქარია შორიპაშვილი. დაშავებულს შემწეობა აღმოუჩინეს.

✦ სად. ფოილო. 6 ოქტომბერს, ღამის 12 საათსა და 20 წუთზე, ისართან რელსებიდან გადავარდა ორთქლმავალი № 56. უბედურება არა მომხდარა-რა და არც ორთქლმავალი დამტვრეულა. ამ მიზეზის გამო 1 ს. და 44 წუთით შეგვიანდა ჯარის მატარებელი.

პრესსა

„მოსკოვსკ. ვედომ.“ და, საზოგადოდ, კონსერვატიული გაზეთები მალ-მალ სცემენ განგაშს და გაიძახიან, რუსეთის „უკიდურესი ელემენტები“, „რადიკალები“ და „ლიბერალები“ ხშირად არღვევენ კანონს და უწესოდ იქცევიანო. ამის გამო „ვესტ. ევროპ.“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი კანონის დაცვისა და კანონიერობის შესახებ. ავტორი წერილისა სამართლიანად ამბობს, რომ საკმაო არ არის აწ მოქმედ კანონების სასტიკად დაცვა, საჭიროა ისიც, რომ თვით კანონი განსაზღვრული და გადაჭრილი იყოს; რუსეთში კი ძალიან ბევრია ისეთი კანონი, რომელიც მოხელეს, კანონის ამსრულებელს, უფლებას აძლევს ისე მოიქცეს, როგორც თვითონა ჰსურს და მრავალი კანონი, კანონიერობის ნაცვლად, მოხელეთა თვითნებობას აძლიერებსო.

> 1883 წლის 2 მაისის კანონში, მაგალითად,—სწერს ჟურნალი:—გადაჭრით არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როდის და რა პირობებით შეუძლიანთ რასკოლნიკებს სამლოცველოების დაარსება ან შეკეთება. ყველაფერი ამ შემთხვევაში გუბერნატორისა ან შინაგან საქმეთა მინისტრისაგან არის დამოკიდებული. ამათ შეუძლიანთ შეიწყნარონ რასკოლნიკების შუამდგომლობა მიზეზების განუმარტველადაც კი. ასევე შეუძლიან მოექცეს მინისტრი პრესსას, გუბერნატორი—კერძო საზოგადოებებს, საერობო უფროსი—სოფლის მცხოვრებთ. კანონების გამოურკვევლობას ზედ ერთვის უთვალავი დროებითი წესები, რომელსაც მთავრობა სცემს კანონის მიერ დაწესებულ წეს-რიგის გარეშე. ხშირად ასეთი დროებითი წესი ოცი ოცდა-ათი წელიწადია ძალაში. ასეთია დროებითი წესები პრესსის შესახებ, გამოცემული 1873, 1882 და 1897 წლებში, ასეთივეა 1894 წელს გამოცემული წესი, რომლის ძალითაც შტუნდისტებს აკრძალული აქვთ სალოცავად შეკრება.

⁂

ჟურნალ „იურისტ“-ში მოყვანილია შემდეგი საყურადღებო შემთხვევა ვ. კ. პლევეს მინისტრობის დროიდან:

> ამ ერთი წლის წინად პეტერბურგში ხმა დაჰყარეს, ერთ გუბერნატორს საყურადღებო საუბარი ჰქონდა მინისტრ პლევესთანაო. გუბერნატორმა რაც საჭირო იყო, ოფიციალურად მოახსენა მინისტრს და წასვლას აპირებდა. მინისტრმა შეატყო, რომ ჭკვიან კაცთან აქვს საქმე და მოისურვა მასთან გულახდილად ლაპარაკი შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმის ვითარების შესახებ; „მითხარით,—მიმართა მინისტრმა გუბერნატორს,—მითხარით, როგორც თქვენდამი მეგობრულად განწყობილ კაცს, თქვენის აზრით რა მდგომარეობაში ვიმყოფებით ამ ჟამად?“ კითხვაზე გუბერნატორმა უპასუხა: „ჩვენ, შიდა რუსეთის მკვიდრნი, ყოველ ფეხის გადადგმაზე ვგრძნობთ ჩვენს არა-ნორმალურ მდგომარეობას. აქ, პეტერბურგში მეტად დიდ ყურადღებას აქცევენ საპოლიციო ზომებს, პოლიციის გაძლიერებას და მცირე ყურადღებით ეკიდებიან ხალხის გაჭირვებას, რომელსაც დაუყოვნებლივ შველა უნდა. თქვენ არ ენდობით იმ ხალხს რომელსაც განაგებთ: ყოველ საშუალებას ხმარობთ, რომ ხალხი თავის საკუთარ, მისთვის ფრიად მნიშვნელოვან, საქმეს, ამ საქმის გამგეობას მოაშოროთ. იქ, სადაც თვითმმართველობა არ არის, ხალხი თავის საქმეს არ განაგებს,—კეთილდღეობაც შეუძლებელია. ამას უცხო სახელმწიფოების მდგომარეობა გვიმტკიცებს. არის ისეთი კანონები ცხოვრებისა, რომელთა დავიწყება და ათვალწუნება შეუძლებელია“.
>
> მინისტრმა მოისმინა თავისი მოსაუბრის გულწრფელი სიტყვა და დაფიქრდა: ვ. კ. პლევე მიხვდა, რომ მის წინ ნამდვილი ჭეშმარიტება ღაღადებდა.

⁂

„ოდესკ. ვედ.“-მა აღნიშნა ის გარემოება რომ ადგილობრივი ერობა მეტად მცირე შემწეობას აძლევს ომში გაგზავნილ ჯარის კაცთა ოჯახებს:

> თვეში 1 ფუთსა და 28 გირვ. ფქვილს, 10 გირვანქა კრუპას და 4 გირვ. მარილს; ფულად რომ ვიანგარიშოთ, ყველა ეს შეადგენს 1 მან. და 75 კაპ. თითო ოჯახზე. საქმე იმაშია რომ ერობას შეძლება არა აქვს მეტი შემწეობა აძლიოს უპატრონოთ დარჩენილ ოჯახებს. პირველ მობილიზაციის დროს სულ გაწვეულ იქნა ხერსონის გუბერნიიდან სათადარიგო ჯარის კაცთა ერთი ნაწილი, 30 ათასი კაცი. ყველა გაწვეულთა ორ-მესამედს დარჩა სახლში გაჭირვებული ოჯახი ულუკმა-პუროდ. თითო ოჯახში რომ სამი კაცი ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ერობამ ყოველ თვე 185 ათასი მან. შემწეობა უნდა აძლიოს იმათ, წელიწადში კი $2^1/_4$ მილიონი მან. ცხადია, რომ ამისთანა ხარჯის გაწევა ერობას არ შეუძლია. წარმოიდგინეთ ეხლა, რომ ხერსონის გუბერნიიდ კიდევ გაიწვევენ დანარჩენ ჯარის კაცებს, 30 ათას კაცს; მაშინ ხომ ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდება.

პატარა ფელეტონი

გახუნებულ თავადის აღსარება

შემთხვევით ჩამივარდა ხელში ერთი 22 გვერდიანი წიგნაკი, რომელსაც სათაურად „ჩემი ავტობიოგრაფია“ აწერია და შინაარსით თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილის ცხოვრების აღწერას შეიცავს. წიგნაკს თავადის სურათიც აქვს დართული. თვითონ ავტორი, თუ არ ვსცდები, ამ ერთის წლის წინად გარდაიცვალა. ავტობიოგრაფიებს ჩვეულებრივ ისეთი პირები სწერენ, რომელნიც რითიმე არიან ცნობილნი და შესანიშნავნი. თავ. ჩოლოყაშვილზე-კი თავის დღეში არაფერი ისეთი რამ არ გამიგონია, რასაც ჰქონდეს საზოგადოებრივი ინტერესი და მნიშვნელობა. ეტყობა, გარდაცვლილი თავადი სულ სხვა აზრისა ყოფილა თავის თავზე და საჭიროდ დაუნახავს, სიკვდილის შემდეგ, გაეცნო საზოგადოებისათვის თავისი პიროვნება და ცხოვრება. ამ გარემოებამ უფრო აღმიძრა ცნობის-მოყვარეობა და მაიძულა „ავტობიოგრაფია“ წამეკითხა...

როგორც მოსალოდნელი იყო, თავ. ნ. ჩოლოყაშვილის „ავტობიოგრაფია“-ში „საგმირო“ „შესანიშნავი“ არა არის-რა. მისი ცხოვრება ისე უფერული ყოფილა, როგორც ასი და ათასი სხვა თავადისა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავადის ნაწერი ერთის მხრით საგულისხმოა და ამიტომ ღირსია, რომ ჩვენს მკითხველებს ორის სიტყვით გავაცნოთ. აქ თქვენ გაიგებთ, თუ როგორ „მოუწამა სამოცდა ათი წელიწადი“ ერთ ქართველ თავადს და—დაუფარავად—თავის ცხოვრების როგორს ჯამს აძლევს იგი სიკვდილის წინად. ეს საინტერესოა, ვითარცა მასა ჩვენი „ბრწყინვალე“ წოდების დასახასიათებლად...

თავ. კოკოს 1839 წელს გარდაცვლია მამა, რომელსაც „სავსე ოჯახი“ დარჩენია. „როგორც მაშინდელ კარგ თავადს ეკუთვნოდა, ბევრი ჰქონდა მამული, ყმა, მსხვილ-წვრილ-ფეხობა საქონელი, ბევრი და ღვინო. ყველა ეს, მართალია, ბლომად დარჩა, მაგრამ ამასთანავე ვალიც დიდი დასტოვა —28 ათასი თუმანი. ფულის პატრონები იყვნენ: ჭაქომელები, მნაცაკანოვი, სარქისოვი, მურადოვი და სხვ. როგორც ჰხედავთ, სწორედ „კინაზურად“ უცხოვრია „ავტობიოგრაფიის“ დამწერის მამას. იმ დროში, როცა ეგზარხოსისთვის მასპინძლობის გასწევად საკმარისი იყო ჰქონო „ერთი ცხვარი დედალი, ერთიც შემწვარი, თევზი და ერთი თუნგი ღვინო“ (გვ.

ფელეტონი

მოხერხებული დრო

„ერთობ ჩამოქვეითებულ, სრულიად ღარიბ და უმეცარ ქვეყნებში ხალხს და მთავრობას არაფერი სჭირია, პოლიციის მეტი. იქ ცხოვრება იმდენად მარტივი და უმოძრაოა, რომ პოლიცია ყველას ჰკუთვნის და ყველის. იქ პოლიციას თავისი საკუთარი საქმეც აბარია და ყველა სხვისიც: მსაჯულიც ისაა, გზის-მკეთებელიც, ვაჭრობის მეთვალყურეც, ჯანმრთელობის მცველიც და სხვ. და სხვ. ყოველგან ასეა, რომ ყრუ და ღარიბ მხარეში თავი და ბოლო პოლიციაა, და პოლიციის მეტი არაფერია საჭირო. მაგრამ რაც უფრო და უფრო იზრდება მხარე, რაც მისი ცხოვრება თანდათან ვითარდება და ჰყვავის, მით ნაკლები ჰხდება საკუთრივ პოლიციის როლი, მის გვერდით იბადება და თან-და-თან იზრდება ახალ-ახალი ორგანოები: სამსჯავრო, სამკურნალო, სამოსწავლო, სავაჭრო, საგზო და სხვ. რაც უფრო და უფრო მდიდრდება და ნათლდება ხალხი, მით უფრო მრავალ-მხრიანი ხდება მისი ცხოვრება და, მასთან, მით უფრო მეტ ორგანოებს, მეტ დაწესებულებებს იძენს ის თავის სხვა-და-სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სრულიად განათლებულ და განვითარებულ ქვეყნებში პოლიცია თავი და ბოლო კი აღარ არის ყველაფრისა,—მარტო ერთი რგოლია იმ გრძელი ჯაჭვისა, რომელიც ერის ცხოვრებას ჰქმართავს. იქ პოლიციას მარტო წესიერების დაცვა აბარია და სხვა არაფერი, ე. ი. ყოველგვარი ძალადობის მოსპობა, ქურდების და ავაზაკების დევნა და სხვა ამგვარი რამ. ეგეც დიდი და მძიმე მოვალეობაა, რომლის რიგიანად ასრულება მეტის-მეტად საჭიროა ქვეყნისთვის და თანდათან კი უფრო და უფრო ძნელდება. ამიტომაც, ყოველთვის, როცა რომელიმე მხარე იმგვარ წარმატებაში შედის, როგორიც ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანას ეტყობა, ყველასათვის თვალსაჩინო ხდება, რომ პოლიცია, რაგინდ ღონიერ და პატიოსან პირებისაგან იყოს შემდგარი, თავს ვეღარ გაართმევს დღითი-დღე წინმსვლელ ცხოვრებას. გზის გაკეთებას თუ მიაწვა, ქურდები დასძლევენ; ქურდებს თუ გამოუდგა, ფოშტა ხელში შერჩება; ფოშტას თუ მიაწვა თავისი ღონე, ჯანმრთელობის საქმე წაუხდება და აგრეთვე სხვაც. საზოგადოების თუ ქვეყნის ზრდასთან, თანაბრად, პოლიციის გვერდით იბადება და იზრდება ახალ-ახალი ორგანოები, სხვა-და-სხვა საჭიროების მოსავლელად და დასაკმაყოფილებლად. მეცნიერება გვასწავლის: ხალხის დაწინაურების უტყუარი მაჩვენებელი პოლიციის მოვალეობის ჩამოთვლააო. რაც უფრო მეტი საქმე აბარია იმას, მით, სჩანს, ნაკლებად ყოფილა განვითარებული იმ ხალხის ცხოვრებაო. რადა თქმა უნდა, რიგიანად გამართულ ქვეყნებში თვით ხალხს და მის არჩეულ წარმომადგენლებს აბარებს უმაღლესი მთავრობა ყველა ამ ახალ-ახალი ორგანოების მართვას და ხელმძღვანელობას“.

ეს სტრიქონები ამოღებულია ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მშვენიერ წერილიდან, რომელიც ერობას შეეხება და ამ შვიდი წლის წინად ჟურნალ „მოამბე“-ში დაიბეჭდა (1897, № VI). მაშინ ჩვენს მწერლობასა და საზოგადო დაწესებულებებში ბევრს ლაპარაკობდნენ ჩვენში ერობის შემოღების საჭიროებაზე და ქართველ თავად-აზნაურობამ აღძრა კიდეც მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, მსგავსად რუსეთის შიდა გუბერნიებისა, ჩვენი მხარესთვის საერობო დაწესებულებათა მონიჭებისათვის. შუამდგომლობა არ იქმნა დაკმაყოფილებული და ადგილობრივ საერობო, ე. ი. საზოგადო მოთხოვნილებათა გაძღოლა და დაკმაყოფილება დღესაც, როგორც წინად, პოლიციას აქვს ჩაბარებული. ამ საქმეებს ყველას პოლიცია განაგებს, და ამ მართვა-გამგეობაში ადგილობრივ საზოგადოებას არა აქვს არავითარი წილი, გარდა იმისა, რომ იხდის გაწერილ გადასახადს და ემორჩილება განკარგულებას. თვით-მართველობა, რომელსაც ასე თუ ისე წარმოადგენს რუსეთში დაწესებული ერობა, ჩვენს მხარეს არ აქვს მონიჭებული და ამ გვარად ჩვენ მოკლებულნი ვართ იმ უფლებასაც, რომლითაც—აგერ 40 წელიწადია—სარგებლობენ იმპერიის შიდა გუბერნიებში მცხოვრებნი.

ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფი ხალხი არ არის ხოლმე ბედისგან „განებივრებული“ და ამიტომ არც გვიკვირს, რომ მრავალჯერ აღძრული შუამდგომლობა ერობის შემოღების შესახებ უმაღლეს მთავრობისაგან არ იქმნა შეწყნარებული. რუსეთის არა ერთ და ორ გავლენიან წრეებში იყვნენ ისეთი პირები, რომელნიც ეჭვისა და უნდობლობის თვალით უცქეროდნენ ერობას და ერობის მოღვაწეთ იქაც კი, სადაც ეს თვით-მართველობა არსებობს, არა თუ „განაპირა ქვეყნის“ ხმა ყურად ეღოთ და „სხვა ტომთათვის“ ერობის სარგებლობა ეცნოთ. რუსეთში ერობა შემოღებულ იქმნა იმ დროს, როცა დიდი რეფორმების ხანა იყო და სახელმწიფოს გამგე პირებში რეფორმებს მომხრეები ჰყავდა. მაგრამ მალე სხვა სიომ დაჰბერა, და ახლად წარმოშობილ ერობას ძალიან გაუძნელდა განვითარება და ნაყოფიერი მოქმედება. მისი დაუძინებელი მტერი გაჰხდა პოლიცია და პოლიციური ბიუროკრატია. ერობა რომ არ ყოფილიყო, ყველა საერობო საქმეების სრული გამგე იქნება, როგორც დღეს ჩვენში, პოლიცია იქნებოდა. და ეს კი პოლიციისთვის ბევრის მხრით სასურველი იყო. გაიმართა ამ ორ დაწესებულებათა შორის დაუსრულებელი შუღლი და წინააღმდეგობა; დღე არ გავიდოდა, რომ ერობა იძულებული არ ყოფილიყო საჩივრები თუ „თავის გასამართლებელი“ ქაღალდები არ ეწერა უმაღლეს მთავრობასთან გასაგზავნად. რუსეთის შინაგან მართვა-გამგეობის მიმდინარეობამ თანდათან ისეთი ელფერი და ხასიათი მიიღო, რომ ერობა ხშირად ვერაფერს აწყობდა და ბრძოლიდან დამარცხებული გამოდიოდა. და ბოლოს (1890 წ.) ეს დამარცხება კიდეც დაკანონდა,—წინანდელი (1864 წლის) წესდება შეიცვალა და მის მაგიერ ახალი გამოიცა, რომლითაც ერობას უფლებები ძალიან შეუზღუდეს და შეუმცირეს და თვით დაწესებულებას უფრო კონსერვატიული შედგენილობა მისცეს: შეამცირეს ხმოსანთა რიცხვი, გაამრავლეს და გააძლიერეს თავად აზნაურთა ელემენტი, შეზღუდეს არჩევანის უფლება, შეუმცირეს მოქალაქეთა და გლეხობის რიცხვი ხმოსნებისა და სხვ. ერთის სიტყვით, 1890 წლის წესდება 1864 წელთან შედარებით ძალიან რეაქციონურია და შემოღებულია ერობათა „ლიბერალობის“ ასალაგმავად...

ამ წესდებისა და სხვა „ცნობილ“ ღონისძიებათა შემოღება ერობის შესახებ ერთი ეპიზოდია რუსეთის შინაურ გამგეობის ურთიერთობაში. ამ უკანასკნელს განსაზღვრული მიმართულება ჰქონდა და არ სცნობდა სასარგებლოდ საქვეყნო საქმეების მართვა-გამგეობაში არც თვით-მართველობისა და არც საზოგადოების დახმარებას. ამ გარემოების წყალობით არა თუ ერობის მოქმედება და ცხოველმყოფელობა შესუსტდა, არამედ საზოგადოდ ადამიანის პირად თაოსნობასა და თვით-მოქმედებას ფრთები შეეკრა და სამოქმედო ასპარეზი დაეხურა. ეს შედეგი საზოგადოებისთვის ისეთი მავნებელი და თან ცხადი შეიქნა, რომ დღეს ყველა ჰხედავს და მასზე რუსეთის მოწინავე პრესსაც ერთხმად ლაპარაკობს.

მაგალითად, გაზეთ „Право“-ში (№ 39) დაბეჭდილია წერილი კიევის პროფესორის თავ. ევგ. ტრუბეცკოისა, რომელიც ეხება რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებს და ნათლად ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ვერ იხეირებს, თუ მარტო ბიუროკრატიაა ყოვლის- შემძლებლად დასახული და უარყოფილია საზოგადოების თვით-მოქმედებისა და თვით-მოქმედების პრინციპებიო. იგი ეხება ეხლანდელ ომს, აღნიშნავს, რომ სამხედრო მოქმედება რუსეთის სასარგებლოდ ვერ მიდის, და კითხულობს: „ვისი ბრალია ეს? რუსეთის საზოგადოებისა? საზოგადოებას ეძინა მთავრობის განკარგულებით. მრავალ წელთა განმავლობაში ყოველგვარ ღონისძიებათ ხმარობდნენ, რომ იგი არ გამოღვიძებულიყო. როდესაც იშვიათად ვინმე ეცდებოდა წამომდგარიყო და ადამიანური სიტყვა ეთქვა, ამას მაშინვე საზოგადოებრივი მყუდროებისა და წესის დარღვევად ჩასთვლიდნენ. მაშინვე გაისმოდა ბრძანების ხმა: „ჩუმად, წყნარად იწექით“, და ძლიერი ხელი ადამიანს ძირს ახლევინებდა წამოწეულ თავს. უკანასკნელ წლებში რუსეთი საპოლიციო სახლის დასაძინებელ ოთახს დაემსგავსა. რუსეთის ამა თუ იმ საზოგადო საჭიროებათა გამო წარმოდგენილ მოხსენებაზე ერობათ ყოველთვის ერთ და იმავე პასუხს აძლევდნენ: „რუსეთის საზოგადო საქმე თქვენ არ შეგეხებათო“. ერობას დანაშაულად უთვლიდნენ სულ მცირე და სრულიად სამართლიან შუამდგომლობასაც-კი, როგორც არის, მაგალ., შუამდგომლობა ფიზიკურ სასჯელის მოსპობის შესახებ, რომელიც, როგორც ყველამ ეხლა ხან გატეხებულ იქმნა უმაღლესის მა ტით. . ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც ჩვენებელია იმისა, თუ რის დაბეჭდვაა ნება- თული, სდუმდა და, მიუხედავად ამისა, გაზე ში მუდამ იბეჭდებოდა ცნობები, თუ რა პერიოდულ გამოცემას ჰხვდა წილად აუცილე ლი საცენზურო სასჯელი. ჩვენს საზოგადოება არ შეეძლო ჩვენი საზოგადო ნაციონალურ ინტერესების დარაჯად მდგარიყო, რადგან მას არ ჰქონდა ამისთვის საჭირო ორგანოები, რადგან ეს აღემატებოდა მისი კომპეტენციის საზღვრებს. მასში სისტემატიურად აძინებდნენ თვით-ცნობიერებას. და სანამ მას ეძინა, ფხიზლობდა მისთვის ყოვლის-მხედველი და ყოვლად-ძლიერი ბიუროკრატია. ამას ებარა ჩვენი საზოგადო საქმე; მას უნდა გაეწია ჩვენთვის მფარველობა და აპეკუნობა, უნდა გაეთვალისწინებია და აეშორებია ჩვენთვის ყოველი ხიფათი და უბედურება. და გააიცვალისწინა? ამის პასუხს შორეულ აღმოსავლეთის ომის ამბები იძლევა.. საზოგადოების დამძინებელი ბიუროკრატია თვითონ მიეცა მძინარა საზოგადოებრივ ატმოსფეროს ჰიპნოზს — ამიტომ თავისში განახორციელა ყველა ჩვენი მთავარი ნაკლულევანებანი,—ჩვენი უხალისობა, ზარმაცობა და უზრუნველობა: ის ეძებდა მტერ მაგრამ გარეშე მტერი ვერ შენიშნა, რადგან სი ყურადღება სულ სხვა მხარეს იყო მიქცეულ მას შიგ სახელმწიფოში ებლანდებოდა მტერი მტრად ეჩვენებოდა, ვისაც მისი სახე და გამოხატულება არ ჰქონდა; საეჭვოდ მიაჩნდა ყველა ვინც „ჩინოვნიკი“ არ იყო, ვისაც დამოუკიდე ბელი რწმენა-შეხედულება ჰქონდა და თავის სი ნიდისის ბრძანებას ბიუროკრატიის ბრძანებაზე მა ღლა აყენებდა; მან დააჩუმა ყველანი, ვისაც დრო ზე შეეძლო გაფრთხილება და ნამდვილ ხიფათის ჩვენება. და ეხლა, ეხლა ჩვენ ვიმკით ნაყოფს იმისას, რაც აქამდის დავთესია“...

ასეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული თვით რუსეთში თვით-მართველობის ორგანოები და ას თი გავლენა და შედეგი ჰქონია საზოგადოებრ სინიდისსა და თვით-ცნობიერებაზე აპეკისა ზედამხედველობის გაძლიერებამ. ამგვარ პირ ბებში ადვილი გასაგებია რომ ჩვენი მხ

მას არა თუ შეუჭამია „ბევრი მამულის“ შემოსავალი არამედ 280,000 მანეთი ვალიც აუღია და ქალაქში გაუქრია.

მამის სიკვდილის შემდეგ მცირეწლოვანს დაუნიშნეს ოპეკუნი. არ გასულა დიდიხანი, რომ მეურვეებმა ბავშვის დედა მამულიდან გამოაძევეს და ქალაქში საცხოვრებლად თვიურად 50 მან. დაუნიშნეს. ავტორი არ ასახელებს ამ „გამოძევების“ მიზეზს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი დედაც ხელგაშლილად ცხოვრობდა და ფულის პატრონებს შეეშინდათ, მამული სულ არ გაფლანგოს და ჩვენი გასესხებული არ დაგვეკარგოსო.

ეს დედაც მალე გარდაიცვალა. „ახლად მიცვალებული უმოწყალოდ, უპატრონოდ იდო,— სწერს მისი შვილი. ოპეკუნმა ნათესავებს გამოუცხადა: განსვენებულმა წინადღითვე აიღო ოპეკუნიდან გადაწყვეტილი თავისი საზრდო, მე ამ ჟამად არავითარი შემოსავალი არა მაქვს და ვერ დავასაფლავებთო. წავალ, გუბერნიის მარშალს შევეხვეწები, ხელის მოწერით მოგვათხოვნინოს საზოგადოებაში და ამ მოგროვილის ფულით, როგორც გაეწყობა, ისე დავასაფლავებთო. ამის გამგონს სული მემღვრეოდა, გული მერეოდა. უფრო ის მაწუხებდა, რომ ვიღაცა ნაცნობები, რომელთაც გაეგონათ, გარდაცვალებული კნეინა მოწყალეობით შეგროვილის ფულით უნდა დაიმარხოსო, მოდიოდნენ ჩემთან და თითო აბაზს ხელში მაძლევდნენ“. ამ გვარად, ჩვენი თავადის დედა „მოწყალეობით შეგროვილის ფულით“ დაასაფლავეს: ნაწილი ნაცნობებმა მოუგროვეს და უფრო მეტი კიდევ (სამი თუმანი) გორონცოვმა მისცა საჩუქრად.

გ.

(დასასრული იქნება)

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით, პეტერბურგის უმაღლეს საქალებო კურსებზე ებრაელ ქალებსაც მიიღებენ, მხოლოდ მათი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მართლმადიდებელ ქალთა მთელ რიცხვის ხუთ პროცენტს.

◆ რუსეთის ერთმა ერობამ თხოვნით მიმართა მთავრობას, ნება მისცენ გახსნან სამეურნეო იარაღებისა და მანქანების საერთო რობო ქარხანა. ამ ქარხნის მოსაწყობად რო თანხა, 650 ათასი მანეთი, სხვა და ერობებმა უნდა შეადგინონ. თვითეულ საგუბერნიო ერობამ უნდა შეიტანოს 3 ათასი მანეთი, სამაზრო ერობებმა კი 1,500 მან. მცხოვრებლები თანაგრძნობით მიჰგებებიან ერობის განზრახვას და ყოველნაირ დახმარებას ჰპირდებიან ამ საქმის განსახორციელებლად, რომელსაც მოჰყვება სამეურნეო იარაღის გაიაფება გლეხთათვის ხელმისაწვდომად.

◆ გზათა სამინისტროს განკარგულებით, ბილეთის მეოთხედი ფასი გადახდებათ იმ ებრაელთ, რომელნიც საზღვარ-გარედა და ამერიკაში მიდიან დასასახლებლად.

◆ ვილნოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საერო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუვიდა იმის შესახებ, რომ ებრაელთა სახაზინო სკოლების მასწავლებელნი უნდა განთავისუფლებულ იქნან მობილიზაციის დროს სითადარიგო ჯარში გაწვევისაგან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა მოუვიდა, რომ საზღვარ გარედ გამოუგონიათ ჩინებული საშუალება ცეცხლის ჩასაქრობად. სამინისტრომ დაიბარა ახალ გამოგონებული მანქანა და მოკლე ხანში უნდა გამოსცადოს.

◆ სახელმწიფო საბჭო იმ აზრს დაადგა, რომ საგუბერნიო დაწესებულებათა რეფორმის შემოღება მხოლოდ რუსეთის შუაგულ გუბერნიებში შესაძლებელი.

◆ სარატოვის სასამართლოს გადაეცა განსახილველად საინტერესო საქმე პოლიციის ორი მოხელის, უბნის ზედამხედველების, შესახებ, რომელთაც ნაქურდალი ფული—15 ათასი მან. და მომგებიანი ბილეთები აღმოაჩინეს და ბილეთების ერთი ნაწილი თვითონ დაისაკუთრეს.

წერილები

კახეთი. დიდი ხანია კახეთის სოფლები თავისუფალნი იყვნენ საქონლის ჭირისაგან, დიდი ხანია მათ სოფლებში არ დაბინავებულა ბეითალ-მოხელეები, სოფლის შესავალში ყარაულები არა მდგარან და მცხოვრებთ კარანტინის გამო ხელ-ფეხი არა ჰქონიათ შეკრული. არას ვამბობ იმის შესახებ, რომ გლეხკაცს საქონელი ხელიდან ეცლება და მარჯვენა ხელი ეჭრება. კახეთში წელს საქონლის ჭირი პირველად გაჩნდა გომბორის საძოვრებზე „საყარაულოზე“. ზაფხულობით ამ ადგილებზე თელავის მაზრის გამოღმა მხრის საქონელია საძოვრად. რასაკვირველია, შემოდგომაზე ჭირის გაჩენა სოფლებშიაც მოსალოდნელი იყო, როცა საქონელი ბარში დაბრუნდებოდა. მართლაც საქონელი ჩამოვიდა და საქ. ჭირმა თავი იჩინა, მერე გადავიდა სხვა სოფლებში და დღეს ორ საზოგადოებაშია, ოჟიოს და რუისპირისაში, თითქმის ყველა სოფელს ეწვია ეს არა სასურველი, გლეხკაცის სტუმარი. ადმინისტრაციის მიერ ზომებია მიღებული ჭირის მოსასპობად. საქონელს უცრიან. სოფლებში ბეითლები და მოხელეები იმყოფებიან-- ყველა სოფელში კარანტინია დაწესებული და ყარაულები დგანან, რათა სხვა სოფლის საქონელი არ შევიდეს ან ამ სოფლიდან არ გავიდეს, რომ ახლა სხვაგან არ გავრცელდეს. მერე ეხლა, როდესაც საქონელი სჭირია პატრონს, ხვნის დროა და, ამას გარდა, მაჭრები დადგება და თოვლის მოსვლამდე ქირაზე შეეძლიან სიარული. კიდევ კარგი, თუ ამ სოფლებში იკმარა და ახლა სხვაგან არ ეწვია. საქონლის დაკარგვის გარდა რამდენი ხარჯის გაღება უხდებათ მცხოვრებთ, რამდენი კაცი სცდება დღეში, ეს მხოლოდ მას შეუძლიან წარმოიდგინოს, ვინც ამ სოფელში სცხოვრობს და თვითონა ჰხედავს სატკივრისაგან მიყენებულ ხარჯს.

კახეთში ისეთი იარმუკობა არ იცის, როგორც ჩვენ სამშობლო სხვა კუთხეში. ალავერდობა (14 სექტემბერს) ერთად-ერთი გათქმული დღეობაა, რომელსაც იარმუკობის ვაჭრობის ელფერი ადევს. დღეობაში მიდიან ყველა მხრიდან და მიაქვთ თავიანთი ნაწარმოები გასასაღებლად. თელავის ვაჭრებსაც დიდ-ძალი საქონელი მიაქვთ. დღეობა და ვაჭრობა რამდენიმე სწორი გრძელდება ხოლმე, თუ-კი დარი ხელს უწყობს. დღეობას ყოველთვის ესწრება ეპისკოპოსი; წელსაც ტფილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა ალავერდის ეპისკოპოსი ექვთიმე. წელს ავდრის გამო არც თვით დღეობა ყოფილა, არც სწორი. ხალხი სულ არ დასწრებია. ვინც გაბედა და საქონელი წაიღო, ზარალის მეტი ვერაფერი ნახა. ამას გარდა არც საქონლიან მლოცველს უშვებდნენ, რადგან სწორედ იმ სოფლებზე დევს გზა, სადაც საქონლის ჭირია, და სასტიკათ იცავდნენ კარანტინს.

დიმიტრაშვილი

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 ოქტომბერი

ხარბინი, 7 ოქტომბერი, (საკ. კორ.) სამხრეთის ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. 6 ოქტომბერს მტერთან შეტაკება არ ყოფილა.—გენერალის გრეკოვის რაზმმა დაზვერა ადგილები და აღმოაჩინა, რომ სანდეპუს იაპონელთა დიდი ჯარი დგას არტილერიითა და ტყვიის მტყორცნელებით.

ლონდონი. ოკუს არმიაში მყოფი „რეიტერის“ კორესპონდენტი იუწყება 3 ოქტომბერს, რომ შვიდი დღის ბრძოლაში, იაპონელთა სიტყვით, იმათ დაკარგეს სამი ათასი კაცი—მოკლული და დაჭრილი. რუსები დიდად დაზარალდნენ, ყველაზე მეტად კი იმ დროს, როცა გამწვავებული კონტრ იერიში მოქონდათ იაპონელთა მიერ დაჭერილ თვითეულ სოფელზე. ბევრგან იაპონელებმა მთლად ამოსწყვიტეს იერიშით მოსული რუსები. რუსები მამაცად და კარგად იბრძოდნენ, მაგრამ ვერ უკუაქციეს იაპონელები. მარცხენა არმიის ათი მილის მანძილი ეჭირა. ეს არმია წინ წავიდა და დაახლოვებით ხუთი მილი გაიარა. რუსებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, კარგათ იფარავდნენ არტილერიით უკან დაწეულ ჯარს, წაიღეს დიდი ქარავანი და ბევრი დაჭრილი. სამ ოქტომბერს რუსის ორმა პოლკმა და ორმა ბატარეამ ძლიერი კონტრ იერიში მიიტანეს, მაგრამ ნახევარი საათის ბრძოლის შემდეგ უკუქცეულ იქმნენ. ამ არმიის წინააღმდეგ მოქმედებს რუსის სამი კორპუსი, 30 ბატარეა და თითქმის მთელი ახლად მოსული ჯარი.

ჩიფუ, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). პორტ-არტურთან ბოლო დროს შემდეგი საყურადღებო ამბები მოხდა. იაპონელებმა აიღეს რამდენიმე მეორე ხარისხის პოზიცია ერლუშანთან; ძლიერ დაზიანდა აფეთქებულ ნაღმისაგან იაპონელთა კონტრ-ნაღმიანი გემი.

ჩიფუ, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). 26 სექტემბერს განთიადისას იაპონელებმა იერიში მიიტანეს ერლუნშანის გარეთა სიმაგრეებზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. მეორე დღეს რუსებმა თვითონ მიიტანეს იერიში იაპონელთა სანგრებზე, მაგრამ ისინიც უკუქცეულ იქმნენ. ამის შემდეგ იაპონელებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს ახალი იერიში, დაიჭირეს რკინის გზის ხიდი და სიმაღლეები ამ ხიდის სამხრეთით. ამ ადგილების დაჭერას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ეხლა იაპონელები უფრო პატარა ადგილზე არიან თავ მოყრილნი და რუსებს ზარბაზნის სროლა უადვილდებათ. ამ ადგილების დაჭერის შემდეგ იაპონელები ხშირათ უკუაქცევენ ციხიდან გამოსულ ჯარს, რომელიც პოზიციების ხელ-ახლად დასაპყრობათ გამოდის. 29 სექტემბერს, დილის 10 საათზე გამოკიდა რუსის შვიდი კონტრ-ნაღმიანი გემი, რამდენსამე ხნის შემდეგ გამოვიდა კიდევ ორი გემი, საობინდაოსკენ წავიდა და იქიდან ყუმბარები დაუშინა იაპონელთა მარცხენა ფრთას. როცა იაპონელთა ოთხი კონტრ-ნაღმიანი გემი მოახლოვდა, რუსის გემები ნავთ-სადგურში დაბრუნდნენ. იაპონელთა გემები გამოუდევნენ იმ ადგილამდის, სადაც ნაღმებია ჩაწყობილი. როცა იაპონელთა ნაღმიანი გემები უკან ბრუნდებოდნენ, ერთი მათგანი ნაღმს წააწყდა და ძლიერ დაზიანდა. იმან მოახერხა დალნამდის მისვლა, სადაც ასწორებენ. ამ დროს განმავლობაში საალყო ზარბაზნები უშენდნენ ყუმბარებს პორტს. ჩინელების სიტყვებით, ერლუნშანზე იერიშის მიტანის დროს, რუსის ჯავშნიანი გემები ჩრდილოეთისაკენ თითქმის შეუწყვეტლივ ისროდნენ ზარბაზნებს. რუსის ჯარის რიცხვი პორტ-არტურში—5000. აქ არ ჩაითვლება თავის ნებით მეომარნი, რომელნიც იღებენ მონაწილეობას ბრძოლაში და ინიშნებიან წესიერებისა და თოფხანის დასაცველად. თბილი ტანისამოსი არ არის საყოფად; უფრო აწუხებთ უფეხსაცმელობა; სალდათებს ჩინური ქოშები აცვიათ და ზოგს მარტო ფეხსაცმელი ახვევია. მეციხოვნე ჯარი მოქანცულია შეუწყვეტელი ბრძოლის გამო. ქალაქი სავსეა დაჭრილებით. ფქვილი ბევრია. ცხენის ახალი ხორცი აქვთ და აგრეთვე ჯორისა და ვირის ხორციც. იაპონელებს განუწყვეტლად მოსდით მაშველი ჯარები. იაპონელებმა თითქმის დაასრულეს დალინისა და არტურს შუა უზარმაზარ მაღაზიების აშენება, სადაც აწყობენ გაზაფხულამდის საყოფ სანოვაგეს. ასევე ემზადებიან ნიუჩუანშიაც.

ლონდონი, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). შინკინი, რომელიც „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტად იმყოფება რუსის ჯართან, იუწყება 6 ოქტომბერს, რომ კუროკი კვდება მუცელასაგანო.

ტოკიო. 7 ოქტომბერი („რეიტერი“). რუსები ამაგრებენ ყველა თავიანთ პოზიციებს მდინარე შახესა და ხუნხეს შუა. ირკვევა თანდათან, რომ მათ განზრახვა აქვთ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ იაპონელების ჩრდილოეთისაკენ წინსვლას.

მუკდენი, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). დიდი ბრძოლა გათავდა. ორივე ჯარი სდგას ეხლა ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ; მათ ჰყოფს მდინარე შახე. საარტილერიო ბრძოლა გაგრძელდა მთელ ორ დღე და ღამეს 5 და 6 ოქტომბერს. რუსის ჯარის შუაგული ყოველ დღე ცოტათი წინ მიდის და საშინელი ზარბაზნის სროლაა. თავიანთ მარცხენა ფრთაზე რუსებს უჭირავთ საუკუნო პოზიცია მაღალ „სოპკაზე“, რომელიც შახეს დასცქერის. ეს პოზიცია უჭირავთ რუსებს 6 ოქტომბრიდან, მიუხედავად განუწყვეტელ ბრძოლისა და ქვეითა ჯარის ხშირ იერიშებისა. მარჯვენა ფრთაზე რუსები ხმარობენ მორტირებს, სცდილობენ განდევნონ იაპონელები პატარა გორაკიდან, რომელიც ვამდებარეობს. დიდი წვიმებისა გამო ამ უკანასკნელ დღეებში წყლები ადიდდა; რადგან შახეზე ხიდები არ არის, საჭიროა პონტონის ხიდები.

შანხაი, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). ფიქრობენ, რომ რუსებს დიდი ჯარის ჰყავთ კუროკის მარცხენა ფრთის წინააღმდეგ პინტაიცისაკენ.

ჩიფუ, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). რუსებმა იყიდეს 6 პატარა ორთქლ-მავალი გემი ალყად შემორტყმულ გემების წრის გასარღვევად. კიდევ ერთმა გემმა, რომელზედაც ფრანგული დროშა იყო, მოიტანა პორტ-არტურში სანოვაგე.—სისხლის მღვრელი ბრძოლა მოხდა ერლუნშანის ფერდობებზე, რომელიც გაგრძელდა რამდენისამე საათს. ბრძოლაში მონაწილე ჯარი ცოტა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, იაპონელებმა მოუკლეს და დაუჭრეს 300 კაცი. იაპონელთა დაჭრილნი ამბობენ, რომ იმათი სალდათები სანგრებში ძალიან იტანჯებიან სიცივისა გამო, თუმცა იმათ ჯარებს თითქმის ყველასა აქვს ზამთრის ტანისამოსი. — პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს ძალიან სურს მიიღოს კუროპატკინის ამბავი, რადგან იმი-

---

დღემდის კიდევ ვერ ეღირსა ერობას და თვითმართველობის საფუძველზე განვითარებას.

თუ ბიუროკრატიული წესი ასე გამოუსადეგარი და უნაყოფო აღმოჩნდა რუსეთის შუაგულში, სადაც მთავარი საზოგადოებრივი ძარღვი სცემს და გონებრივი ძალა მოქმედობს, რაღა უნდა ითქვას კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზე, რომელიც ბევრის მხრით ჩამორჩება რუსეთის შიდა გუბერნიებს. თუ კიდევ საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ადმინისტრატიულის წესით არ შეიძლება ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ეს ცხად ჰყო და ნათლად დაამტკიცა აქაურ სასოფლო მეურნეობის მდგომარეობამ და ჩვენი ცხოვრების მოწყობილობამ. საითაც უნდა გაიხედოთ, ყველგან აუარებელ მოთხოვნილებათა და საჭიროებათ შეამჩნევთ, ხოლო ამათ დასაკმაყოფილებლად გაწეული შრომა და მეცადინეობა იმდენად მცირეა, რომ სათქმელადაც კი არ ღირს.

ჩვენ ყველამ უკეთ ვიცით გერმანიისა გინდ საფრანგეთის ხალხის ყოფა-ცხოვრება, ვიდრე ჩვენი გლეხობის მდგომარეობა. ჩვენში არაა სტატისტიკის ჭაჭანება, არ ჰხდება ეკონომიურ ცხოვრების შესწავლა და გამოკვლევა. არ ვიცით, რამდენი მიწა აქვთ მემამულეებს, რამდენი— გლეხობას; არ ვიცით, რამდენია დღეს ჩვენში უმამულო, მესაკუთრე, ხიზანი ან დროებით ვალდებული გლეხი და რამდენი მამული უჭირავს თითოეულ მათგანს; არ ვიცით, რამდენი მიწა ითესება წლიურად, რით ითესება, როგორი მოსავალია; რა მდგომარეობაშია წარმოების ტეხნიკა, როგორია ამა თუ იმ ადგილას ნიადაგი, რა შემოსავალს იძლევა წარმოების სხვა და-სხვა დარგი,—მევენახეობა, მებაღეობა, საქონლის მოშენება და სხვა-დასხვა. და აბა როგორ უნდა გაარკვიოს და გადასწყვიტოს ვინმემ ეკონომიური საკითხები, როცა ამის შესახებ სწორი ცნობები და საჭირო მასალები არ იკრიბება.

ჩვენში არაა საკმაოდ სკოლები, არაა გავრცელებული სწავლა და ცოდნა. არც მემამულემ და არც მიწის მუშამ არა იცის რა გაუმჯობესებულის ტეხნიკისა. მელიორაცია, სპეციალური კულტურა სხვა-და-სხვა გვარ სამეურნეო ნაწარმოებთა, ბაღჩის თესვა, ინტენსიური წარმოება, საქონლის ჯიშის განკარგება, ფერმები, სანერგეები, საცდელი მინდვრები, სამაგალითო სადგურები — არც ერთი ეს ჩვენში არ არის და არც არავინ ცდილობს მის გასავრცელებლად.

მეურნეს ხშირად ზარალი ეძლევა სეტყვისა და ცეცხლისაგან, საქონლის ჭირისაგან, ფილოქსერისა და სხვა-და-სხვა მავნე მწერებისაგან. არ არის მოწესრიგებული დაზღვევის საქმე დაზარალებულისთვის შემწეობის აღმოსაჩენად, არც რაიმე ორგანიზაცია მავნე მწერებთან საბრძოლველად, დაეწვის სახლი თუ ვანა, მოუკვდება ხარი თუ ძროხა, გაუხმება ვენახი თუ ნათესს გაუნადგურებს კალია,—მეურნემ თავის ბედს უნდა შესჩივლოს და კარ და-კარ იწყოს მათხოვრობა.

ყველამ იცის, სოფლად გზები რა მდგომარეობაში იმყოფება. პატარა წვიმის შემდეგ მდინარეები, უხიდობის გამო, და გზები, ტალახის გამო, გაუვალი ჰხდება. ხშირად რუსეთიდან გინდ უცხოეთიდან უფრო იაფი ჯდება საქონლის მოტანა, ვიდრე შინაურ ნაწარმოების 60 ვერსიდან ქალაქში მოზიდვა; ქართლის პური რუსულ პურს კახეთში ვერ უწევს კონკურენციას; ჩვენს ტყიან ქვეყნებში ხის მასალა რუსეთიდან შემოაქვთ, ხოლო ქუჩების მოსაფენად ქვებს ოსმალეთიდან ეზიდებიან.

ხალხი თანდათან მრავლდება და მიწა აღარ ჰყოფნის დასამუშავებლად. ჩნდება გროვა სრულიად უმამულო გლეხებისა, რომლებსაც ქალაქებშიაც უჭირთ, მრეწველობის განუვითარებლობის გამო, სამუშაოს შოვნა და სოფლადაც არ აქვთ საშუალება, უმამულობის მიზეზით, წარმართონ სამეურნეო წარმოება. არ არსებობს არავითარი საკრედიტო დაწესებულება, რომელმაც მცირე მამულიან გლეხებს მცირე სარგებლით სესხი მისცეს და მამულის შეძენაში კრედიტით გაუწიოს დახმარება.—ესრედ წოდებული წვრილი კრედიტი, რომელიც წვრილ მწარმოებლისთვის აუცილებლად საჭიროა, ჩვენში სრულიად არ არის შემოღებული და ამიტომ სოფლის მეურნე მევახშის საწველ ფურადაა დატოვებული.

ხალხის ჯანმრთელობისათვის მთელს მაზრაში ერთად-ერთი მაზრის ექიმია განწესებული, ხოლო თვით მაზრა იმ ზომისაა და ისეთ კლდე ღრეებს შეიცავს, რომ ერთი კაცი ბედაურ ცხენითაც-კი რამდენსამე წლიწადს ვერ შემოივლის. მაზრის ექიმი თავის დანიშნულებით უფრო სასამართლოს ემსახურება; იგი მოვალეა, საჭირო შემთხვევებში სასამართლოს ოქმები წარუდგინოს და „ჩინოვნიკის“ როლი შეასრულოს. ხალხის ჯანმრთელობასა და სანიტარულ მდგომარეობაზე ზრუნვა მეორე ხარისხოვან საქმეს შეადგენს. და ასეთ გარემოებაში ხალხი თურმე ძალიან გასამტყუნარი და დასაგმობი ყოფილა, რადგან იგი ავადმყოფობის დროს მკითხავებთან გარბის და ხშირად სოფლის მატყუარა ექიმბაშებზე აგებს თავის საცხოვრებელს.

ერთის სიტყვით, ნაკლულევანება და მოუწყობლობა ბლომადაა ჩვენს ცხოვრებაში, ხოლო ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც ხალხის სასარგებლოდ პოლიციას განეხორციელებინოს და თვალსაჩინო ნაყოფიც მოეტანოს, სანთლითაა საძებნელი. და ეს ასე იქნება, სანამ ძველი წესი არ შეიცვლება და ადგილობრივ საერობო საქმეების მართვა გამგეობის უფლება თვითონ საზოგადოებას და მისგან არჩეულ პირებს არ მიეცემა. რუსეთის ერობამ, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებათა, დიდი სამსახური გაუწია რუსეთის ხალხს. არ არის არც ერთი თვალსაჩინო მხარე ეკონომიურ ცხოვრებისა, სადაც მას არ ემუშაოს და გარკვეული კვალი არ დაეჩნიოს თავის ნაყოფიერ მოქმედებისა. საკმარისია აღვნიშნოთ სულ ორი თუ სამი ციფრი, რომ მკითხველმა ხელად დაინახოს თვითმართველობის პრინციპის უპირატესობა. რუსეთის 34 გუბერნიაში ერობა ჰხარჯავს სახალხო განათლების საქმეზე თავის ბიუჯეტის მეხუთედს ანუ 20%-ს; კავკასიის საერობო ბიუჯეტიდან-კი ამავე საგანს ჰხმარდება მხოლოდ 3%. ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად ერობის ეხარჯება ბიუჯეტის 28%, ხოლო კავკასიას, პოლიციის განწოდებით,—10%; საბეითალო ნაწილზე ერობის ხარჯია 2%, ხოლო კავკასიისა —ერთ პროცენტზე ნაკლები (0,9%). სამაგიეროდ კავკასიაში ეძლევა ხაზინას სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ბიუჯეტის სამი მეოთხედი, ხოლო ერობის მქონებელ გუბერნიებში – მარტო 7%. კავკასიის საერობო ბიუჯეტია სულ 4 მილიონი; აქედან სამი მეოთხედი ანუ სამი მილიონი მანეთი იხარჯება უმთავრესად საერობო დარაჯთა რაზმების შესანახად, რომელნიც ამ ოთხი წლის წინად დააწესეს ჩვენში. ცხადია, რუსეთის ერობათა ხარჯები უფრო ნაყოფიერია მცხოვრებთათვის...

დღეს ჩვენში ყველას შეგნებული აქვს ერობის მნიშვნელობა და მისი შემოღების საჭიროება. და ჩვენ ამ სტრიქონებს გწერთ არა იმიტომ, რომ უკვე აღმოჩენილი ამერიკა ხელ-მეორედ აღმოვაჩინოთ და ერობის მნიშვნელობაზე ჩვენს მწერლობაშიაც ბევრჯერ გამოთქმული აზრი ერთხელ კიდევ გავიმეოროთ. არა, არის ამ ჟამად ერთი სხვა გარემოება, რომელიც მიზეზსა და საფუძველს გვაძლევს, რომ საზოგადოებაში ხელ-ახლა აღვძრათ ერობის შესახებ მსჯელობა და მას მოსაპოვებლად გავწიოთ ზრუნვა და გავმართოთ შუამდგომლობა.

ამ ერთის თვის წინად შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა თ-დ. სვიატოპოლკ მირსკი. ახალმა მინისტრმა თავის დანიშნვის შემდეგ პირველსავე დღეებში ისეთი სიტყვები წარმოსთქვა რომ მთელი რუსეთის პრესსა დღეს მასზე ლაპარაკობს და დიდ იმედსაც ამყარებს. მან საჯაროდ გამოსთქვა თავისი profession de foi — რწმენა და აღიარა, რომ იგი მეგობარია პრესსისა და მომხრეა „პროგრესისა, სარწმუნოებრივ თავისუფლებისა, მთავრობასა და საზოგადო დაწესებულებათა შორის ნდობის გამართვისა, თვითმართველობისა და დეცენტრალიზაციის პრინციპის განვითარებისა და სხვ. „მე მრწამს,— სთქვა მან სხვათა შორის,—რომ ერობის მოქმედება ნაყოფიერია. ერობაში მე სამსახურის ყველა ხარისხი გამოვიარე და დარწმუნებული ვარ, რომ ერობას ფრიად სასარგებლო მოქმედება შეუძლიან“. ეს ისეთი სიტყვებია, რომელთა მსგავსი რუსეთს დღემდის მინისტრის პირიდან არ სმენია და ამიტომ ადვილი გასაგებია რუსეთის მოწინავე პრესსის სიხარული და აღტაცება. ერობა, რომელსაც რუსეთის „საფუძველთა“ აღმომფხვრელად და, მაშასადამე, გასრესის ღირსად სთვლიდნენ გუშინ ბნელეთის მოტრფიალენი, დღეს მინისტრმა ნაყოფიერ და სასარგებლო დაწესებულებად გამოაცხადა. გაზ. „რუს“-ის თანამშრომლისათვის შემდეგი სიტყვები უთქვამს მინისტრს ისევ ერობის შესახებ: „ერობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა იმ საქმეში, რომელსაც აზრად აქვს სარჩოთი უზრუნველჰყოს ერი. საზოგადოდ ერობას დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. გამოცოცხლება ერობისა კეთილად იმოქმედებს ჩვენი სამშობლოს დოვლათიანობაზე. ზემოხსენებულ საქმის გამოწირვა ერობისაგან არ ივარგებს: ეგ არა თუ უფლებაა მისი, არამედ მოვალეობაც. ერობის შემოღება საჭიროა იქაც, სადაც ჯერ არ არის შემოღებული“.

რახან ასეთია აზრი თვითონ მინისტრისა, ერობის შემოღებას ჩვენს მხარეში დიდი დაბრკოლება აღარ უნდა შეხვდეს. ჩვენ გვგონია, რომ ერობის სათხოვნელად ეხლანდელი დრო სწორედ მოხერხებული დროა და ამიტომ საჭიროა ჩვენმა თავად-აზნაურობამ ხელ-ახლა გამართოს ამ საგანზე მსჯელობა და, რაც შეიძლება, მალე, აღძრას შესაფერი დასაბუთებული შუამდგომლობა. რა თქმა უნდა, შიდა გუბერნიებზე უკეთეს წესდების ერობას ჩვენ არავინ მოგვცემს და თხოვნისა და შუამდგომლობის აღძვრა მხოლოდ იმგვარ ერობის გამო შეიძლება, როგორიც დღეს არსებობს რუსეთში. მართალია, 1890 წლის „წესდება“ ძველთან შედარებით ბევრის მხრით მდარეა, მაგრამ „კრიტიკასა“ და ნაკლულევანებათა ჩხრეკას ჩვენ არავინ გვთხოვს და რომ ვიკისროთ კიდეც ეს როლი, გამგონი არ გვეყოლება. როგორც სამართლიანად სწერდა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და ამას უნდა შევადაროთ ერობისაგან მოსალოდნელი ცვლილება. ასეთ შედარებით კი უეჭველად იმ დასკვნაზე მივალთ, რომ რაგინდ ნაკლულევანებიანი იყოს ეხლანდელ ერობის წესდება, ჩვენთვის მაინც სასიკეთო და სასარგებლო იქნება. და ამიტომ ჩვენ ამ შემთხვევაში ქებისა და მადლობის მეტს ვერაფერს ვეტყვით იმ პირთ, რომელნიც ეცდებიან, თაოსნობას გასწევენ და ჩვენს ქვეყანას მოუპოვებენ თუნდა ისეთ „მდარე“ თვითმართველობას, როგორითაც სარგებლობს დღეს რუსეთის საზოგადოება.

ფ. გოგიჩაიშვილი.

ავან ელიან ხსნას. ბალტიის ესკადრის გამგზავრების ამბავმა ძლიან გაამხნევა მეციხოვნე ჯარი.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს, 8 ოქტომბერს: „6 ოქტომბერს ჩვენმა ჯარმა დაზვერა იაპონელების ჯარი, რომელიც სოფ. ფინდიაპუს სამხრეთით არის. მტრის მოწინავე ნაწილები დავსწიეთ სამხრეთისკენ. იაპონიის ბატარეა, რომელმაც ყუმბარები დაუშინა ჩვენ რაზმებს, გავაჩუმეთ და დავახევინეთ სამხრეთისაკენ. 7 ოქტომბერს ბრძოლა არ მომხდარა. დილით ჯანღის დროს ჩვენმა რაზმმა პოდპორუჩიკის ზავიალოვის უფროსობით წაართვა იაპონელებს კიდევ ერთი ზარბაზანი, პუტილოვის გორაზე დარჩენილი. იაპონელებმა აგვიტეხეს ძლიერი თოფის სროლა, მაგრამ ჯანღის გამო მიზანს ვერ მიახწიეს“.

ტოკიო, 7 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფს“ ატყობინებენ, 5 ოქტომბრიდან პორტ-არტურზე ალყაშემორტყმული ჯარის მოქმედება განსაკუთრებით ნაყოფიერია, იაპონელებმა დაიჭირეს სიმაგრე ერლუნშანი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
8 ოქტომბერი

ტოკიო, 8 ოქტომბერი. „სტანდარტს“ აუწყებენ: ბალტიის ესკადრის წასვლას აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, თუმცა იაპონელებს საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ესკადრა აღმოსავლეთის წყლებს მიაღწევს. აქაურ წრეებს ძლიერ ეინტერესებათ რა გზას დაადგებიან ის სახელმწიფოები, რომელთა წყლებს გაივლის ესკადრა.

ტოკიო, 7 ოქტომბერი. იაპონელ კორესპონდენტთა დეპეშების თანახმად, ოკუსა და ნოძუს არმიები მდინარე შახეს გადავიდნენ და მეორე ნაპირას დაუწყეს ბრძოლა რუსის ჯარს. ფიქრობენ, რომ რუსის დიდი ჯარი კუროკის წინააღმდეგ სდგას, პინტაიძის მხარეს. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ კუროპატკინი, ვიდრე საბოლოოდ უკან დაიხევს და ჩრდილოეთისკენ წავა, საერთო იერიშს მიიტანს იაპონელებზე. ის აზრია აქ, რომ კუროპატკინი ამ ჟამად უკან იხევს და იბრძვის იმიტომ, რომ თავი დაიცვასო. ამასთან სცდილობს, იაპონელნი გაიტყუოს ტელინისკენ, რომელიც, როგორც იმის, გამაგრებულია.

ჩიფუ, 7 ოქტომბერი. პორტ-არტურიდან მოსულნი ჩინელნი ამბობენ, რომ იაპონიის სამხედრო გემებმა ლიაოტეშანის მხრიდან ყუმბარები დაუშინეს პორტ-არტურსაო. იაპონელებს საალყო ზარბაზნები დაუდგამთ ლიაოტეშანის მახლობად, საიდანაც ყუმბარებს უშენენ ნავთსადგურს. რუსების ზარბაზნები ხანტად აძლევენ პასუხს. რუსები ჩინელებს ასახლებენ ლიაოტეშანიდან და სახლებს აქცევენ, რომ სიმაგრეებს გარშემო ადგილები გასწმინდონ.

ჩიფუ, 8 ოქტომბერი. ჩინელები, რომლებიც პორტ-არტურიდან 4 ოქტომბერს გამოსულან, იუწყებიან: იაპონელებმა 25 და 26 სექტემბერს შტურმი მიიტანეს წყლის მილის სიმაგრესა და ფორტ № მე-5-ზე. რუსებმა ახლო მიუშვეს და მერე ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი დაუშინეს და იაპონელები მოიგერიეს. იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ და მას აქეთ შტურმი აღარ მიუტანიათ ციხეზე; მხოლოდ ყოველ დღე დაგუშანის გორის ჩრდილოეთ მხარეზე დადგმულ ზარბაზნებს უშენენ ძველ ქალაქს, მაგრამ დიდ ზარალს ვერ აძლევენ. ამბობენ, ეს ჩინური ზარბაზნებიაო. ყუმბარები მომეტებულ ნაწილად მიზანს ვერ ახწევს და არა სკდება. ბოლო დროს ზარბაზნების სროლაც შესუსტდა; მხოლოდ ხან-დახან-და ისვრიან მეციხოვნე ჯარის შესაწუხებლად. ღამით სიწყნარეა ხოლმე. ნავთსადგურში მდგომი რუსის დიდი სამხედრო და ნაღმიანი გემი ყოველ დღე საშინლად უშენენ ხოლმე ყუმბარას მტრის პოზიციებს. ლიაოტეშანის სიმაგრეების აშენება დასრულდა. ამბობენ, იაპონელები ლიაოტეშანს ახლად დადგმულს ზარბაზანს ესვრიანო. რუსებს საკვები სურსათი საკმაოდ აქვთ.

ჩიფუ, („დეილი ტელეგრაფი“). იაპონელები ათასობით ამუშავებენ ჩინელ მუშებს იცზუანისა და ანცზუანის სიმაღლეებზე სიმაგრეების გასამართავად. სამხედრო მოქმედება პორტ-არტურთან უთუოდ ორ გამაგრებულ წრეს შუა მოხდება. რუსებს ჯერ კიდევ უჭირავთ ის ადგილი, რომელსაც მტრედის ბუდის სამხრეთი ნაწილი ეკუთვნის. რუსებმა შეიძინეს ექვსი პატარა გემი სანოვაგისა და საომარ მასალის მისაზიდად პორტ-არტურში. ამბობენ, ერთმა გემმა მოახერხა პორტ არტურში შესვლაო. გემზე საფრანგეთის დროშა ყოფილა. ლიაოტეშანიდან მოსული ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა შვიდი საალყო ზარბაზანი დადგეს სანშანფუს პოზიციაზე. სუნშინის ჩრდილოეთით, ხუთის მილის მანძილზე.

პეტერბურგი. ვილნოს ადგილობრივ ბრიგადის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი კუკოლი დაინიშნა მანჯურიის მეორე არმიის სასანიტარო ნაწილის უფროსად. ომში თავის გამოჩენისათვის გზობით პოლკოვნიკობა არგუნის პოლკის უფროსს კობილკინს, ორენბურგის მე 11 და მე-12 ყაზახთა პოლკების უფროსებს გურიევს და ბიჩკოვს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
7 ოქტომბერი

ფარიცუნგი, („რეიტერი“). ინგლისის ექსპედიციის უკანასკნელმა რაზმმა ტანგის ხეობა საშინელ ქარბუქისა და უამინდობის დროს გაიარა. ჯარი საშინლად დაიტანჯა. ბევრი კარავი წაიღო თოვლის სიმძიმისაგან. 2 კაცი მოკვდა. თოვლი მატულობს. იმდენად ღრმაა თოვლი, რომ ხალხი და ცხენები შიგ ეფლობიან.

ლონდონი, („რეიტერი“). ლედი კერზონის ავადმყოფობის გამო, ლორდ კერზონმა ინდოეთში წასვლა ნოემბრის დამლევამდე გადასდო.— 1901 წლის შემდეგ ველარ მოხერხდა ავღანისა და ინდოეთის მთავრობის წარმომადგენლის შეხვედრა, რომ საერთო საქმეების შესახებ მოელაპარაკნათ. ეხლა ემირმა წინადადება მისცა ინდოეთის მთავრობას, ჩემ უფროსს შვილს გავგზავნი ინდოეთში ლორდ კერზონთან მოსალაპარაკებლადაო. სურვილი გამოსთქვა აგრეთვე, გაიგზავნოს ემირთან ქაბულში ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელი. ამ წარმომადგენელს უნდა დაევალოს ემირთან ერთად ისეთ საკითხების განხილვა, რომელიც ემირისა და ინგლისის მთავრობას შეეხება. ნოემბრის დამლევს ქაბულში ამ საქმისთვის გაიგზავნება აფიცერი.

იურიევი. ქალაქი გახარებულია ხელმწიფის წყალობის გამო, რომელიც საერთო განათლების მინისტრმა კორპორაციებს აცნობა. ნება მიეცათ ხელ-ახლა ატარონ სკორპორაციო ქუდები. კორპორაციებმა ხელმწიფე იმპერატორს დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიაც უქვეშევრდომილესი გრძნობანია გამოთქმული.

სტამბოლი, საბერძნეთის ელჩი ყოველ საშუალებას ხმარობს შეარიგოს სინოდისა და საერო საბჭოს წევრნი პატრიარქთან. ელჩს უნდა, პატრიარქი არ დაითხოვონ,—დიდის ამბით ემზადებიან ბაღდადის რკინის გზის კონია-ერეგლის შტოს გასახსნელად.

დრეზდენი. საღამოს 8 საათზე დაკრძალეს ახლად გარდაცვლილი მეფე გიორგი.

ბერლინი. „ნორ. ალგ. ცაიტუნგ“-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ სიმართლეს მოკლებულია „ტაიმს“-ის განცხადება, ვითომ გერმანიის დიპლომატია ინგლის-ტიბეტის ხელშეკრულობის დადების საქმეში ჩარეულიყოს.

კოპენჰაგენი. ფოლკეტინგი. ბიუჯეტის პირველ კითხვის დროს მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა, ვცდილობთ უზრუნველ ვყოთ ხანგრძლივი ნეიტრალიტეტი დანიისა; შარშან ამ მხრივ ბევრი რამ გავაკეთეთ.

სალონიკი. ბერძენმა თავის სახლის წინ მოკლა ბოლგარელი მღვდელი. სალონიკელი ბოლგარელები ძლიან აღელვებულნი არიან.

8 ოქტომბერი

რიგა. მოვიდა საერთო განათლების მინისტრი და სასწავლებლები დაათვალიერა.

იალტა, 7 ოქტომბერი. ზღვა ძლიერ ღელავს. დიდი ქარიშხალია.

პეტერბურგი. გამოცხადებულია, რომ სამარის გუბერნიაში ხოლერაა გაჩენილი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 6 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,30	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,52½	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	91⅞	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89	„
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	418	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	320	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	269	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	242½	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 2 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. [illegible] წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის [illegible] ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. [illegible] წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. [illegible] წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. [illegible] წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერივან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის [illegible] ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“
ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:
1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი



Сѣдельн.
Специальн.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла
მიხაილოვის პრ. სახლი [illegible]ვისა, № 92, სახაზინო ბობრანის ახლოს. (წ.—17[illegible] 63)

ამიერ-კავკასიის რკინის გზის

გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ 9 ნოემბრისათვის 1904 წელს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში ტფილისს, ელისაბედის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, დანიშნულია კონკურენცია ქვემოდ ჩამოთვლილ ხე-ტყის მასალის მისაწოდებლად რკინის გზისთვის. მსურველთ უნდა შეიტანონ განცხადებანი დაბეჭდილ კონვერტებით და ამ გვარის წარწერით: „Въ Совѣтъ Управленія Закавказскихъ желѣзныхъ дорогъ. Заявленіе цѣнъ на поставку (такихъ-то) матеріяловъ на конкуренцію, такого мѣсяца и числа 1904 года.“ მასალა:

სხვა-და-სხვა ხის შპალები:

განიერ ლიანდაგისთვის	442,000	ცალამდე.
ვიწრო „	60,000	„
სხვა-და-სხვა სიგრძის [illegible]	293	კომპლექტი
სხვა-და-სხვა ხის შეშა	8,000	კუბ. საჟ.
სატელეგრაფო ბოძები	44	ცალი.
მორები მუხისა სხვა-და-სხვა ზომ.	76,000	კუბ. ფუტი
„ ნაძვისა, ფიჭვისა და სოჭისა. წვრილი და რგვალი	4,000	ცალი
„ ნაძვისა, ფიჭვისა, სოჭისა, თხმელასი და სხვისა	65,000	კუბ. ფუტი.
ძელები სხვა-და-სხვა ხისა	130,000	„ „
ფოშტა ნაძვისა, ფიჭვისა და სხ.	40,000	სიგრ. საჟ.
ფიცრები და რეიკები სხ.-და-სხ.	88,500	ოთხკ. ფუტი

კონდიციებისა, წესებისა და სატექნიკო პირობების შესახებ დაწვრილებით ცნობების გასაგებად მსურველმა უნდა მიჰმართოს ფოსტით ან პირადად ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 12-დან 2 საათამდე, „მატერიალნი სლუჟბას“, რომელიც რკინის გზის იმავე სახლშია მოთავსებული. (3—6.—3)

ახალი გახსნილი
სასტუმრო არკადია ნომრები
(ყოფილი „იალტა“)
მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, [illegible] არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და [illegible] ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—[illegible]—59)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჟვანგულოვისა	1	—

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო-სნეულთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
Grand p[illegible]x)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის [illegible]
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს



რეზინის კალოშების
ყიდვის დროს სთხოვენ
ყურადღება მიაქციონ [illegible]
ლოშის ძირზე ნიშანს,
განსაკუთრებით ამხანაგო-
ბის დაარსების წელიწადს
„1860“ და სიტყ[illegible]
„С.-Петербургъ“
წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).
ნარდით ვაჭრობას
აწარმოებს [illegible]
[illegible] სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
[illegible] პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, [illegible], დონის როსტოვს, ხარკოვს, [illegible], ტაშკენტში. და ტფილისს
(60—55)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ნაწერები ს. მესხისა
გამოცემა ს. ფარცხალავასი
ტ. 1. ფასი 1 მან.
საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში.

შ. არაგვისპირელის
მესამე წიგნი
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. (5—6—5)